პროექტი

# წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №_ _

2023 წლის _ _ იანვარი

ქ. წყალტუბო

**სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის (ბროწეულას) საჯარო სკოლისათვის მინაგო გიგოს ძე ინასარიძის სახელის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის (ბროწეულა) საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ინიციატივა (2022 წლის 20 დეკემბრის სხდომის ოქმი №9), სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის (ბროწეულა) საჯარო სკოლისათვის მინაგო გიგოს ძე ინასარიძის სახელის მინიჭების შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ინიციატივა ვერ აკმაყოფილებს „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ პირობებს (კრიტერიუმებს).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე–2 ნაწილისა და „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4[1] მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. უარი ეთქვას სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის (ბროწეულა) საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს, ამავე სკოლისათვის მინაგო გიგოს ძე ინასარიძის სახელის მინიჭების შესახებ
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა
და ახალგაზრდულ საქმეთა
კომისიის თავმჯდომარის მ/შემსრულებელი — ნოდარ ასათიანი

**ადრესატი:**

ნოდარი ასათიანი
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-კომისიის თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

წერილის ნომერი:**49-49230203**
თარიღი: **20/01/2023**

კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და

ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მ/შემსრულებელს

ბატონ ნოდარ ასათიანს

ბატონო ნოდარ,

განვიხილე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მამუკა ჩხეტიანის 2022 წლის 23 დეკემბრის წერილი და თანდართული მასალები, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის (ბროწეულას) საჯარო სკოლისთვის მინაგო გიგოს ძე ინასარიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს.

საჯარო სკოლისათვის ამა თუ იმ პირის სახელის მინიჭების საკითხი წესრიგდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესი"-თ, რომლის მე-2 მუხლში ჩამოთვლილია ის აუცილებელი პირობები (კრიტერიუმები), რა შემთხვევაშიც შეიძლება სკოლისათვის სახელის მინიჭება. კერძოდ:

ა) სამშობლოს დაცვის, ქართული სახელმწიფოს მშენებლობის ან საზოგადოების კონსოლიდაციის საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე ეროვნული ან საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული, გარდაცვლილი საერო ან სასულიერო პირის სახელი;

ბ) სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის აღმნიშვნელი სახელი;

გ) სკოლაში დანერგილი სასწავლო პროგრამის ან მეთოდიკის აღმნიშვნელი;

დ) ქართული კულტურის, ხელოვნების, ენის, მეცნიერების, ლიტერატურის, სპორტის განვითარების საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე ეროვნული ან საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული საერო ან სასულიერო პირის სახელი, რომლის გარდაცვალებიდან გასულია სულ მცირე 20 წელი.

ცხადია, ამ შემთხვევაში, ვინაიდან საკითხი ეხება პიროვნებას, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტი ვერ განიხილება. ასევე რამდენად არის დაცული „დ" ქვეპუნქტის მოთხოვნები (ქართული კულტურის, ხელოვნების, ენის, მეცნიერების, ლიტერატურის, სპორტის განვითარების საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე ეროვნული ან საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული საერო ან სასულიერო პირის სახელი) მოცემულ შემთხვევაში, განხილული ვერ იქნება, რადგან ბატონი მინაგო გოგის ძე ინასარიძის გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი.

რაც შეეხება მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტს, სამწუხაროდ ცალსახაა, რომ მოცემულ შემთხვევაში მითითებული პუნქტის არცერთი აუცილებელი პირობა (კრიტერიუმი) არ არის სახეზე. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ, უარი უნდა თქვას სახელის მინიჭების შესახებ თანხმობის გაცემაზე, რასთან დაკავშირებითაც, კომისიაზე განხილვის მიზნით,

წარმოგიდგენთ საკრებულოს განკარგულების პროექტს - ,,სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის (ბროწეულას) საჯარო სკოლისათვის მინაგო გოგის ძე ინასარიძის სახელის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“.

გელა თათარაშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ა პ ა რ ა ტ ი-აპარატის უფროსი

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს**

**ტერიტორიული ორგანო ქალაქ წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრი**

MES 1 22 0001650235

23/12/2022

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

მოგახსენებთ, რომ წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრში შემოვიდა სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის (ბროწეულას) საჯარო სკოლის დირექციის N1646641 წერილი - სკოლისათვის მინაგო ინასარიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

"საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №194 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის $4^1$ მუხლის შესაბამისად, გიგზავნით, სკოლისათვის სახელის მინიჭების შესახებ ინიციატივას და საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს შესაბამის სხდომის ოქმს.

გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული საკითხი და გვაცნობოთ მიღებული გადაწყვეტილების შესაებ. (იხ. მიბმული ფაილები)

პატივისცემით,

რესურსცენტრის უფროსი
ჩხეტიანი მამუკა

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
სოფელ ზედა მესხეთის ბროწეულას
საჯარო სკოლა

LEPL Tskaltubo Municipality Village Zeda
Meskheti Brotseula Public School

MES 7 22 0001646641

23/12/2022

წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის
უფროსს ბატონ მამუკა ჩხეტიანს

ბატონო მამუკა,

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის ბროწეულას საჯარო სკოლის დირექცია გაცნობებთ,რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ს/ზედა მესხეთის მკვიდრმა მცხოვრებმა ნათელა კაპანაძემ,სკოლის დირექციას მიმართა,სკოლის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით.

სკოლის დირექციამ იხელმძღვანელა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის ბრძანება N 194–ის შესაბამისად,განიხილა სკოლის სამეურვეო საბჭომ მკვიდრი მცხოვრების განცხადება და მიზანშეწონილად მიიჩნია სკოლის სახელის შეცვლა.

გთხოვთ გვიშუამდგომლოთ წყალტუბოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოსთან–საკრებულოსთან,რათა მოხდეს მათ მიერ აღნიშნული ინიციატივის განხილვა და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

იხ.საფუძვლები:

პატივისცემით,

იმერეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
ქალაქ წყალტუბოს საგანმანათლებლო
რესურსცენტრი
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა
მესხეთის ბროწეულას საჯარო სკოლა
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
კუბლაშვილი შოთა

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
სოფელ ზედა მესხეთის ბროწეულას
საჯარო სკოლა

LEPL Tskaltubo Municipality Village Zeda
Meskheti Brotseula Public School

MES 0 22 0001624413

19/12/2022

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის
ბროწეულას საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს
ქალბატონ ლელა კუტუბიძეს

ქალბატონო ლელა,

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის ბროწეულას საჯარო სკოლას წერილობით მომართა სოფლის მკვიდრმა მცხოვრებმა,ქალბატონმა ნათელა კაპანაძემ სკოლის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების მუხლი 4 ის შესაბამისად გთხოვთ განიხილოთ აღნიშნული ინიციატივა.

პატივისცემით,

იმერეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
ქალაქ წყალტუბოს საგანმანათლებლო
რესურსცენტრი
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა
მესხეთის ბროწეულას საჯარო სკოლა
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
კუბლაშვილი შოთა

სსიპ -წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის ბროწეულას საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის

ოქმი N 9

წყალტუბო ს.ზედა მესხეთი -20- დეკემბერი 2022წ.

სხდომის დაწყების დრო: ---15:00-----სთ.

**სამეურვეო საბჭოს სხდომას ესწრებოდა შემდეგი წევრები:**

| | |
|---|---|
| ლელა კუტუბიძე | მშობელი (თავმჯდომარე) |
| მაგდა ჩოგოვაძე | მშობელი |
| ფიქრია ამბროლაძე | მშობელი |
| ეკტერინე კალატოზი | მასწავალებელი (მდივანი) |
| თამარ კიკვაძე | მასწავლებელი |
| მერი გულიაშვილი | მასწავლებებლი |
| მარი კუჭუხიძე | მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე |

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა სსიპ -წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის ბროწეულას საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ.–ი შოთა კუბლაშვილი

სხდომა გახსნა სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ, დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი და მიმართა მათ, ხომ არ სურდათ დღის წესრიგში რაიმე საკითხის დამატება.

**დღის წესრიგი:**

***სსიპ -წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის ბროწეულას საჯარო სკოლისათვის მინაგო გიგოს ძე ინასარიძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ.***

კენჭი ეყარა წინადადებას სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

**მომხრე:** --7--
**მოწინააღმდეგე:** -0--

**დაადგინეს:** დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

**საკითხი N1:** ***სსიპ -წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის ბროწეულას საჯარო სკოლისათვის მინაგო გიგოს ძე ინასარიძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ.***

**მომხსენებელი:** სსიპ -წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის ბროწეულას საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ლელა კუტუბიძე.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა ლელა კუტუბიძემ სამეურვეო საბწოს გააცნო,რომ 2022 წლის 19 დეკემბერს სსიპ -წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის ბროწეულას

საჯარო სკოლაში შემოვიდა მოქალაქე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის მკვიდრის **ნათელა კაპანაძის** განცხადება,რომელსაც თან ახლავს სოფლის მკვიდრ მაცხოვრებელთა და სკოლა დამთავრებულთა ხელმოწერები,ისინი მოგვმართავენ,რომ სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის ბროწეულას საჯარო სკოლას მიენიჭოს სკოლის ყოფილი დირექტორის მინაგო გიგოს ძე ინასარაძის სახელი.მან დამსწრე საზოგადოებას მოახსენა,რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის"თანახმად,სკოლისათვის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის საკითხს განიხილავს სამეურვეო საბჭო.

**ქალბატონმა ლელამ** დამსწრე საზოგადოებას განუმარტა,რომ საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის მე–2 მუხლის თანახმად,სკოლას შეუძლია მიენიჭოს მხოლოდ:

ა) სამშობლოს დაცვის, ქართული სახელმწიფოს მშენებლობის ან საზოგადოების კონსოლიდაციის საქმეში
თვალსაჩინო წვლილის მქონე ეროვნული ან საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული, გარდაცვლილი საერო ან
სასულიერო პირის სახელი;

ბ) სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის აღმნიშვნელი სახელი;

გ) სკოლაში დანერგილი სასწავლო პროგრამის ან მეთოდიკის სახელი;

დ) ქართული კულტურის, ხელოვნების, ენის, მეცნიერების, ლიტერატურის, სპორტის განვითარების საქმეში
თვალსაჩინო წვლილის მქონე ეროვნული ან საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული საერო ან სასულიერო
პირის სახელი, რომლის გარდაცვალების დღიდან გასულია სულ მცირე 20 წელი.

**აზრი გამოთქვა:** ეკატერინე კალატოზმა მან კიდევ ერთხელ შეახსენა,რომ 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის"მეორე მუხლის ა ქვეპუნქტის თანახმად მიზანშეწონილად მიიაჩნია სოფლის მკვიდრი ნათელა კაპანაძის განცხადების შესაბამისად სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის ბროწეულას საჯარო სკოლას მიენიჭოს მინაგო გიგოს ძე ინასარიძის სახელი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: – 7
წინააღმდეგი – 0

**კენწისყრის შედეგად დაადგინეს:**
მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის ბროწეულას საჯარო სკოლისათვის მინაგო გიგოს ძე ინასარიძის სახელის მინიჭება

**დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დაიხურა.**

**სხდომის დასრულების დრო:** ---16:00------ სთ.

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე: /ლ.კუტუბიძე/
სამეურვეო საბჭოს მდივანი: /ე.კალატოზი/

სოფელ ზედა მესხეთის ბროწეულას საჯარო სკოლის

დირექტორს

ბატონ შოთა კუბლაშვილს

ამავე სოფლის მკვიდრის ნათელა კაპანაძის

ტ. 595509132

# განცხადება

მოგახსენებთ, რომ სოფელ ზედა მესხეთის ბროწეულას საჯარო სკოლა ტერიტორიულად მდებარეობს სოფელ ზედა მესხეთში. აღნიშნული სკოლა დაარსდა 1957 წლის დეკემბერში და იწოდებოდა, როგორც ბროწეულას სკოლა-ინტერნატი. საჯარო სკოლად საქართველოს განათლების სისტემაში სკოლა ირიცხება 1989 წლიდან.

სკოლის პირველი დირექტორი იყო მინაგო გიგოს ძე ინასარიძე.

ბატონი მინაგოს დირექტორობის პერიოდში სკოლაში მრავალი თაობა აღიზარდა. იგი იყო დიდი სამამულო ომის მონაწილე და დაჯილდოვებულია მედლით ,,მამაცობისათვის''. სხვადასხვა დროს მუშაობდა გაზეთ ,,სიმართლის,, რედაქტორის მოადგილედ, წყალტუბოს რაიონის განათლების განყოფილების გამგედ. იყო წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის წევრი. საქალაქო საბჭოს დეპუტატი, 1958 წლიდან საპენსიო ასაკამდე ბატონი მინაგო გახდათ ბროწეულას სკოლა-ინტერნატის დირექტორი

მინაგო ინასარიძის საოჯახო არქივშია ,,შრომის წითელი დროშის'' და ღირსების ორდენები, ასევე სხვადასხვა მედლები.

შეუფასებელია ბატონი მინაგოს, როგორც საუკეთესო დირექტორის და ხელმძღვანელის ღვაწლი და დამსახურება სკოლის გაძლიერების, განვითარებისა და პოპულარიზაციის საკითხში. მისი დირექტორობის

№169
12

პერიოდში სკოლა თავისი გამართული მრავალფეროვანი ინფრასტრუქტურით და აღზრდა განათლების საკითხებში მიღწეული წარმატებებით იყო რაიონში ერთერთი თვალსაჩინო .

განსაკუთრებული და აღსანიშნავია მისი დამსახურება სკოლის ტერიტორიის განაშენიანებასა და სპორტის სხვადასხვა სახეობების გავითარებისთვის შესაბამისი გარემოს, სხვადასხვა საჭიროებებისა და პოპულარიზაციის საკითხებში. მისი თაოსნობით გაწეული სამუშაოთა კვალი დღესდღეობით აც კიდევ შემორჩა სკოლის ეზოს.

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ჰ 1'' ქვეპუნქტის და ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ ,,საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის და მე-2 პუნქტის ,,ა'' და ,,მ'' ქვეპუნქტების შესაბამისად, ასევე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №194-ბრძანების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ბ '' ქვეპუნქტის საფუძველზე **გთხოვთ** განიხილოთ საკითხი სოფელ ზედა მესხეთის ბროწეულას საჯარო სკოლას მიენიჭოს მინაგო გიგოს ძე ინასარიძის სახელი.

განცხადებას თან ერთვის სოფელ ზედა მესხეთის მკვიდრთა ხელმოწერა-თანხმობები, რომელთა უმეტესობა ამ სკოლის კურსდამთავრებულია.

განმცხ.: სოფელ ზედა მესხეთის მკვიდრი

ბროწეულას საჯარო სკოლის ყოფილი მასწავებელი

ნათელა კაპანაძე ნ. კაპანაძე

2022წ

დან.1

ხელმოწერები სოფელ ზედა მესხეთის ბროწეულას საჯარო სკოლის მისი პირველი

დირექტორის სახელის მინიჭების საკითხზე

| № | გვარი, სახელი | ხელმოწერა | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| 1 | შალამბერიძე მარინე | [signature] | სკოლადამთავრ. |
| 2 | მელაძე დალი | [signature] | მშობელი |
| 3 | მელაძე [illegible] | ვ. [signature] | მშობელი |
| 4 | მელაძე [illegible] | ლ. [signature] | მშობელი |
| 5 | შალამბერიძე [illegible] | [signature] | მშობ/სკოლადამ. |
| 6 | ცოტონიძე [illegible] | მ. ცოტონიძე | მშობელი/სკოლადამთავრ. |
| 7 | ცოტონიძე მარიამი | მ.ცოტონიძე | მშობელი |
| 8 | შალამბერიძე დარი | ლ. [signature] | მშობელი |
| 9 | შალამბერიძე [illegible] | მ [signature] | მშობელი/სკოლად |
| 10 | ჩელიძე ვალერი | ვ. [signature] | სკოლადამთავრებული |
| 11 | შალამბერიძე [illegible] | ი [signature] | მშობელი. |
| 12 | შალამბერიძე სოფიო | ს. [signature] | მშობ/სკოლადამ. |
| 13 | [illegible] | [signature] | მშობ/სკოლადამ. |
| 14 | ლომაძე [illegible] | ? [signature] | მშობ/სკოლადამ. |
| 15 | ლომაძე მერაბი | [signature] | მშობ/სკოლადამ. |
| 16 | ლომაძე [illegible] | [signature] | მშობ/სკოლ. |
| 17 | კუკუხიძე [illegible] | ნ. [signature] | მშობელი |
| 18 | კუჭუხიძე [illegible] | ს. [signature] | მშობელი |
| 19 | კუჭუხიძე [illegible] | ი. [signature] | ი [signature] |

| | | | |
|---|---|---|---|
| 20 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 21 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 22 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 23 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 24 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 25 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 26 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 27 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 28 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 29 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 30 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 31 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 32 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 33 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 34 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 35 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 36 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 37 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 38 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 39 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 40 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 41 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 42 | [illegible] | [illegible] | [illegible] |

| | | | |
|---|---|---|---|
| 43 | [illegible] | [illegible] | " — " |
| 44 | [illegible] | [illegible] | " — " |
| 45 | [illegible] | [illegible] | " — " |
| 46 | [illegible] | [illegible] | " — " |
| 47 | [illegible] | [illegible] | " — " |
| 48 | | | |
| 49 | | | |
| 50 | | | |
| 51 | | | |
| 52 | | | |
| 53 | | | |
| 54 | | | |
| 55 | | | |
| 56 | | | |
| 57 | | | |
| 58 | | | |
| 59 | | | |
| 60 | | | |
| 61 | | | |
| 62 | | | |